



ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№8(100)

აგვისტო
2022 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

ჩურეთ-საქართველოს აგვისტოს 14 წელი გავიდა



2008 წლის აგვისტოს ომიდან 14 წელი გავიდა. ამ ომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 170 მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 სამოქალაქო პირი დაიღუპა. დაჭრილ და დაშავებულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა რაოდენობა 2 232-ს შეადგენს, მათ შორის, 1045 პირი სამხედრო მოსამსახურეა.

აგვისტოს ომში დაიღუპა კაპრალი ლევან მიდელაშვილი – 19 წლის ჯარისკაცი ახალგორიდან, სოფელ მიდელაპი-დან. სიკვდილის შემდეგ დაჯაილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

„დღეს ჩვენი დამოუკიდებლობა უფრო ქლიერია, ჩვენი გზა ევროპისეენ უფრო ქლიერია“

2008 წლის აგვისტოს ომის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გვირგვინით შეამკო დაღუპულობრივი დუმილით პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

გვირგვინით შემკობის ცერემონია საპატიო ყარაულის თანხლებით გაიმართა, შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

დასასრული გვ-3 გვერდზე

1801, 1921, 1992, 2008 - ეს არის თარიღები, რომლებიც ყველა ერთველს სამუდამო აქცენტის სისტემის რეასონის უძრავი აგრძელების და რეაციის უმოწვევულ არღიტიკას ასახავს.

საქართველოს პრეზიდენტი
სალომე ზურაბიშვილი

ჩაღს ვისრით რომ დაღუპული ჩვენი გმირი სამხედროებისა და მუნიციპალიტეტის მრავალების სერვისის წინაშე



8 აგვისტოს ახალგორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ პატივი მიაგო აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკა-შევილმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გვირგვინით შეამკო აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული კაპრალის, ახალგორელი ლევან მიდელაშვილის საფლაკი.

დასასრული გვ-3 გვერდზე

6

რუსთი რეაციები!
ახალგორი საქართველოა!

8

„სანამ ეს ერთი კაცი მაინც სუბრობს, ქართულად, ხერბა დაქარგული არ არის“



4

ახალგორელი მოსწავლეები ერთნების
სასწავლო კურსერები დაჯილდოვდნენ

5

აპილის თავის გამორი — ლევან გილეალაშვილი

ლევან გილეალაშვილი 18 დღის ასაკში გაიცის ჯარში, ვოთში მსახურობდა. 10 თვის შემდეგ ხელი მოაწერა კონტრაქტს, გაიარა პარანტინი და 2007 დღის აპილიში გეოთხე პრიბადაში, 41-ე ბატალიონში ჩაირიცხა. სულ ერთი ტელი იმსახურა ვაზიანში. 19 დღის ასაკში კი ომში ჭავდო.

იმ სალამოს, ომი რომ დაიწყო და განგაში გამოცხადდა, შინ იყო. როცა ნაწილიდან ურეკავდნენ, ტელეფონზე საუბრობდა და დაკავშირება ვერ მოახერხეს. შემდეგ ძმაკაცმა დაურეკა მის ძმას, განგაშია, გვიპარებენ. სასწრაფოდ დაუკავშირდა ნაწილში დარჩენილ მეგობარს. „ცხინვალში მივყვართ, ძმურად, გთხოვ, ნუ წამოხვალ, გასული ხარ ნაწილიდან, გაერიდე სიტუაციას“, — ძმაკაცის ამ სიტყვებმა წყობიდან გამოიყვანა, — მაგ კაცად მიცნობ, რომ არ წამოვიდეო?

ჩაიცვა და გავარდა ომში...

მართლა ღიმილის ბიჭი იყო, ოცი არ გადაეხადა... მხოლოდ სექტემბერში შეუსრულდა ოცი წელი, როცა უკვე ამ ქვეყნად აღარ იყო.

ლევან მიდელაშვილი — ახალგორის რაიონის სოფელ მიდელაანში დაბადებულ-გაზრდილი, გულა-თებული ბიჭი.

მასზე ერთი წლით უმცროსი ძმა იხსენებს, რომ ლევანს ხშირად უთქვამს მისთვის: „ვიცი, ისე არ მორჩება კონტრაქტი, ომი არ იყოს, მაგრამ სურვილი ჰქონდა, ჯარი მოსწონდა. ბავშვობიდან უყვარდა იარაღი, ჯარი და ბავშვობაში ერთი სული ჰქონდა, სულ ოცნებობდა, 18 წლის როდის გავხდები, ჯარში რომ წავიდეო“.

მთაში გაზრდილ ბიჭს ნადირობა და იარაღი იზიდავდა. არადა, მამამისს არც იარაღი ჰყვარებია და არც სანადიროდ დადიოდა. ძველმა გენებმა იჩინა თავი. 14 წლის გახდა თუ არა, სოფლის ბიჭებთან ერთად, მთაში სანადიროდ სიარული დაიწყო და როგორც ძმა იხსენებს, შინ არცთუ იშვიათად მიუტანია ნანადირევი — დათვი, ჯიხვი, გარეული თხა...

ძმა: „ხალისიანი, სიცოცხლითა და იუმორით სავსე ბიჭი იყო. დაუზარელი. შინაც ეხმარებოდა მშობლებს საქონლის მოვლა-შენახვაში. მეგობრები უყვარდა ძალიან და გართობაც მათთან ერთად.“

ამასობაში ბავშვობამაც გაიქროლა, სკოლა დაამთავრა. 18 წლის გახდა თუ არა, ჯარში გაიწვიეს, ფოთში მსახურობდა, 10 თვის შემდეგ კი თავად მოაწერა ხელი კონტრაქტს, გაიარა კარანტინი და 2007 წლის აგვისტოში მეოთხე ბრიგადაში, 41-ე ბატალიონში ჩაირიცხა. სულ ერთი წელი იმსახურა ვაზიანში. მერე ომიც დაიწყო.

ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე შეყვარებულს დაშორებია.

„შეყვარებული ჰყავდა, 3-4 წელი უყვარდა, მაგრამ ომამდე თვეების წინ უთანხმოება მოუვიდათ და თვითონ დაშორდა, თორემ ორივეს უყვარდათ ერთმანეთი. ომამდე გათხოვდა ის გოგო...“

ძმა სევდიანად იხსენებს იმ დღეს, როცა ბოლოს ნახა ომში მიმავალი ძმა.

ვაჟა მიდელაშვილი, ძმა: „ძალიან მოსწონდა ჯარი. ყველაფერი მოსწონდა, ფიზიკური დატვირთვაც, ვარჯიშიც, იარაღიც... ყველაფერს გულმოდგინედ სწავლობდა. სალამორბით წანილიდან გამოდიოდა, შინ მოდიოდა, მაშინ მე და ის თბილიში დეიდაშვილთან ვცხოვრობდით თემებზე. დაღლილი მოდიოდა ხოლმე... მეც მინდოდა ჯარში წასვლა.

ამბობდა: ხომ ასეთი წვალება გვაქვს, ასეთი რეზუმი, მაგრამ არ შემიძლია უჯაროდო, კონტრაქტს რომ მოვრჩები, ვერ წარმომიდგენია, როგორ დავანებებს ჯარს თავსო. არ შემიძლია, თავი გავანებონ. 6 აგვისტოსაც მოვიდა სალამოს სახლში, 7 აგვისტო რომ დაიწყო, ლამის 2-ის 15 წუთი იქნებოდა, გამოიძახეს. ძმაკაცმა მე დამირეკა, განგაშია, შეატყობინეო, ალბათ, წანილიდან ურეკავდნენ, მაგრამ იმ დროს ტელეფონზე საუბრობდა და ვერ დაუკავშირდნენ. ვინც დაურეკა, ის ჯარისკაციც შინ იყო ლევანივით გამოსული. ვუთხარი, განგაშია-მეთქი. სასწრაფოდ გადაურეკა წანილში მყოფ ძმაკაცს. იმ ბიჭმა სოხოვა, ნუ წამოხვალო. გაბრაზდა, თავი გაიგიუა. ჩაიცვა. წავიდა. ბოლოს მაშინ ვნახე... წანილში მისვლისთანავე გამორთო ტელეფონი, თან არ წაულია, ვერანაირად ველარ ვუკავშირდებოდი, ალარანაირი კონტაქტი არ მქონია მასთან. ერთადერთი გზალა დამრჩა, რესპუბლიკურსა და ლუდუშაურში დავდიოდი, იქ ველოდებოდი ხოლმე, დაჭრილები რომ ჩამოჰყედათ... ცხრა აგვისტოს, ლამით, ლუდუშაურის კლინიკაში მისი ძმაკაცი ვნახე, დაჭრილი იყო.

იმას ვეითხე ლევანის ამბავი: დღეს, ორის ნახევრამდე, ერთად ვიბრძოდით ცხინვალშიო. ტრასაზე ყოფილან ჩანილილები, მერე ამ ბიჭისთვის მეთაურს კორპუსში იარაღის შეტანა უბრძანებია, შესულა ეს ბიჭი, ლევანი გარეთ დარჩენილა, სხვა ბიჭებთან ერთად. შესულა თუ არა ეს ბიჭი კორპუსში, სროლები განახლებულა და იქიდან 6 საათი ველარ გამოსულა, იქ იბრძოდა და დაჭრილი გამოუყვანიათ იქიდან. რომ გამოსულა, ლევანი ველარ უნახავს. ასმეთაურიც იგივეს მეუბნება: 9 აგვისტოს პირველ საათამდე ერთად ვიბრძოდითო.

ლევანი არ ჩანდა, იმედს არ ვკარგავდით, რომ ცოცხალი იყო, ტყვედ გვევონა ჩავარდნილი, დენები ჩაგაბარეთ, დეკემბერში პასუხი მოგვივიდა.

არავინაა მნახველი, რა ვითარებაში დაიღუპა ჩემი ძმა. ბევრი დაიღუპა მისი ოცეულიდან, ვისათანაც ძმა-



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა უჯრშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhgori@gmail.com

აპლიკაციური მუნიციპალიტეტი სამართლებრივი სახლის



გაეროს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიის პრეზიდენტი აბდულა შაჰიდი, საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, საკუპაციო ხაზთან და ნეროვანის დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდა. ის ადგილზე გაეცნო ოკუპაციის შედეგად შექმნილ ვითარებას და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობას.

შევედრაზე საუბარი, ასევე, შეეხო მშვიდობის, უსაფრთხოების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ახალგაზრდობის ჩართულობის ხელშეწყობის საკითხებს.

შევედრის დასასრულს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა გენერალური ასამბლეის პრეზიდენტს ვიზიტისა და მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„თემის ახალგაზრდების ჩართულობა საქართველოს აეგილებაში“

საქართველოში აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „თემის ახალგაზრდების ჩართულობა საქართველოს რეგიონებში“, რომელშიც საქართველოს სხვა სკოლებთან ერთად წეროვნის მე-3 საჯარო სკოლაც იყო ჩართული.

2022 წლის 29 ივლისს ქალაქ ბათუმში პროექტის მონაწილეთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ღონისძიებაზე მაღალმთიანი აქარის, ადიგენისა და ნეროვანის საჯარო სკოლებში გამართული ვიქტორინის გამარჯვებული მოსწავლეები დასაჩუქრდნენ ლეპტოპებით, მობილური ტელეფონებითა და ყურსასმენებით.

ცერემონიას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ხულოს რესურსცენტრის წარმომადგენლები, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები.

იარიელის მთავრობის პროექტი წილის მიზანი



მცხეთის მუნიციპალიტეტის წილკნის დევნილთა დასახლებაში, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის (GGP) ფარგლებში, ბოსტონულის სასათბურე მეურნეობა მოეწყო.

ახალი, 2 000 კვ.მ. ფართობზე მოწყობილი სასათბურე მეურნეობა მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილებმა - გიორგი ჩიფრიურმა და გიორგი კაპანაძემ, საქართველოში იაპონიის ელჩიან იმამურა აკირასთან და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელ ნუგზარ თინიკაშვილთან ერთად მოინახულეს.

სასათბურე მეურნეობა, მაღალი ხარისხის ბოსტონულის ჩითილების მიწოდებით, ხელს შეუწყობს დევნილთა დასახლებაში, ასევე, ჭიათურასა და ტყიბულში არსებული საოჯახო მეურნეობების განვითარებას.

პროექტი განხორციელდა ააიპ „გარემო და განვითარების“ მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „წილკნთან“ თანამშრომლობით. პროექტის ბიუჯეტი 71 249 აშშ დოლარს შეადგენს.

მოსწავლეები ერთნების სასწავლო ვარემანებით დაჯილდოვნენ



იუვი-ლიმესის აკადემიამ სკოლებში STEAM-ის ინცაციური მეთოდოლოგიით სწავლების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში გამოფენა-კონფერენცია გამართა, სადაც სასკოლო გუნდები საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო წეროვნის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდი.

გამოფენას ესწრებოდა იუვი - ლიმესის დირექტორი ალექსანდრე ტატიშვილი, რომელმაც აკადემიის 6 რჩეულ გუნდს გადასცა ლაბორორატორიული კომპონენტების სრული კომპლექტი, ხოლო წეროვნის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდის ყველა წევრი ერთნლიანი სასწავლო ვაუჩერით დაჯილდოვა.

რობოტექნიკის აკადემია დაარსების დღიდან ხელს უწყობს „კეთებით სწავლების“ დანერგვას და STREAM სწავლების განვითარებას საქართველოში. ეს კამპანია უკვე აქტიურად მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით და რაოდენ საისხარულოა, რომ მასში ასე აქტიურად და წარმატებულად არიან ჩამულნი ჩვენი მოსწავლეები.

მინა ინახავს ჩავდე...

ნინია ყოჩიშვილი

ყოველთვის, როცა უსაგნოდ ჩავიფიქრდები, ბებიაჩემზე ვიწყებ წერას.

ძველი ჩანაწერები ვნახე, ბევრი რამ აღარ მხსომება იქიდან და ჩემს თავს სულ რევერანსებით ვემადლიერე, რა კარგია, რომ მაშინ დაწ-ერე-მეტე.

ჰოდა, ახლაც დავწერ.

ბებიაჩემი ბედაური ქალი იყო. თვითონ ეს არასდროს უთქვაშის. მე მეუბნებოდა ხოლმე, ბედაური ქალი უნდა იყო, წყალი რომ არ გექნება, მაშინ უნდა მოიყავონ მოსავალი, თორემ წყალი თუ, ყველა მოიყანსო. მაჩვევდა მიზნის მიღწევას პირობების არქონის დროსაც კი. მერე გარდაიცვალა, ბევრი ვიფიქრე და მიგვცდი, რომ თვითონ იყო ის, რისკენაც ყველას მოუწოდებდა სწრაფვას, ბედაური ქალი. სხვათა შორის, ფემინისტიც კი იყო. სიკვდილის წინ მამაჩემს დაუბარა: ამას არაფერი დაუმალო. რახან გოგოა, შენი აზრით ული არ გახადო, თვითონ იცის, სად წავა და საიდან მოვაო.

ამას უკვე დევნილი ამბობდა.

დევნილობისას სულ იმას ამბობდა - რომ მოვკვდები, ახალგორში წამიღეთო. თავიდან თავს უქნევდნენ შვილები. ეტყობა, ფიქრობდნენ, სანამ ეგ დღე მოვა, იქამდე დაბრუნებულები ვიწერითო.

მერე გავიდა წლები და არც დაბრუნებისა ისმოდა რამე, გზებიც ჩაიკეტა, აღარც შესვლა იყო, გამოსვლაც მაშინ, თუ ან კვდებოდი, ან მკვდარი იყავი. შესვლა კი მხოლოდ გარდაცვლილებისთვის გახდა შესაძლებელი. პარადოქსია. მაგრამ რუსული ან რა არის დალაგებული.

ბებიაჩემმა ეს იცოდა და ისევ გაიძახოდა, ახალგორში წამიღეთო. უკვე ძალიან მძიმედ იყო. ამ დროს კი შეფიქრიანდნენ შვილები. დაუწყეს დარიგება - დედი, იქ ვინ გამოვა შენს საფლავზე, აქ კიდევ ყველანი მოვალთო. არაო, ჯიუტობდა ბებიაჩემი. თქვენ თუ არ წამიღებთ, დალი არ დამტოვებს ეგრეო, უფროსი შვილის იმედი ჰქონდა. ის მოაგვარებს ამ საქმესო.

მალევე გარდაიცვალა.

გადასვენეს ახალგორში, აღარ მახსოვს, 3 თუ 5 კაცის გაყოლის უფლება მოგვცეს. შეჰყვნენ და წამოვიდნენ უკან.

ბებიაჩემმა არჩია, რომ იქ დაკრძალულიყო, თავის მშობლიურ მიწაზე და თუნდაც მიტოვებულად ქცეულიყო მისი საფლავი. არც შვილის ცრემლი დალერილიყო იქ და არც - შვილიშვილის, არც ერთს შეეღლ საფლავის კარი და არც - მეორეს.

ეს ერთგვარად ასახავს დევნილთა დამოკიდებულებას თავიანთი მიწისადმი და მიწის, როგორც სიმბოლოს სიძლიერეს. გერჩიოს მიწა შვილის მოსვლას - ღრმა აზრს ინახავს და თან იმედსაც, რომ შვილებიც მოვლენ ერთ დღეს, როცა დაბრუნდებიან.

ბებიაჩემი ბედაური ქალი იყო და ბედაურ ქალებს იმედი და რწმენა არასდროს ელევათ. მათ შორის, არც დაბრუნების რწმენა.



მთხის ქალის სევდა

ომიდან უკვე არ ვიცი, მერამდენე წელი იყო გასული... ბებიაჩემი იჯდა და ქვაბებს ნაცრით ხეხავდა. გადმოყოლილი ჰქონდა, ეგონა, ცეცხლზე გამურულ ქვაბებს ყველაზე კარგად ნაცარი გაათეთებდა. მე ჭუჭყიანი მეგონა ნაცარი და მის გარეცხილ ქვაბებს ხელმეორედ მის ჩუმად უელეთი ვრეცხავდი.

მერე მოვიდნენ რუსები, ბებიაჩემი ჯერ მთაში გაიხინა, მერე აქეთ წამოვიდა და დევნილობისას აღარც ქვაბი გაუხეხავს, არც ჯამი გაურეცხავს, ისე დაბერდა იქიდან ჩამოსვლისას, აღარაფრის ძალა აღარ ჰქონდა, გამოვიდოდა, ტელევიზორს ხმას აუწევდა და უყურებდა მთელი დღე. პუტინი რომ გამოჩნდებოდა, ჯოხის უქნევდა, როცა ევროპული რემონტი გავაკეთე, მაშინ გამომაქციათ და ხალხზე ბრაზობდა, მე ვუყიდი ერთ ტყვიას, ერთი ტყვია როგორ ენანგებათ ამისთვისო. ამ გამნარებული მოხუცისთვის რამის ახსნა ძალიან რთული იყო და ჩუმად ვისმენდით. „ა, ხვთისო, შე ოხერო, როგორ გაასახარი ამ ყველაფერსო“ და კაბის კალთას ნაკეცებს უკეთებდა.

მთიული ქალი იყო, ხვთისო გულში ჩაივარდა, ხვთისო ცხენით დაელოდა, ესეც მოახტა და გაიცენებ, დუშეთში გადასულან, დატოვეს გამწყრალი მამა და ძმები, დამდურებული დედა. იცხოვრეს მთის ცხოვრებით, ხვთისოს საქონელი გამოსაზამთრებლად მიჰყავდა, თებრო ქალიც იყო, კაციც და მთის ქალიც ეგ არის, სინაზეს რთულად თუ შეატყობ.

მერე ჩამოვიდა.

ბებიაჩემი ტელევიზორთან მჯდარი და ჯოხმოლერებული მახსოვს. იქ დარჩენილ ლოგინზე დარდობდა, ჩრჩილი შეჭამდა, გამზეურება უნდა და ვინ არი პატრონიო. სიზმრებში იქ დადიოდა. ცხადში გადმომხედავდა და იწყებდა: „ეხლა ამსო, დამსო და გუდაწვერში ჩამსო“ და მოაყოლებდა იქაურ ამბებს. დასიზმრებია, თებროს თავისი ქვაბები დასიზმრებია, ლობიო, ლოლო და მანვინის სუპი მონატრებიათ და რახუნობდნენო, გაშავებულები იყვნენ დარჩენილები, შერცხვენილები ჯერ ჩუმად იყვნენ, - „არავინ დაგვინახოს ეგრე გამურულები“, მერე ვეღარ მოითმინეს და არახუნდნენო.

მიყებოდა ბებიაჩემი, თვალებზე ხელებს მოისვამდა, თავიანს გაისწორებდა, ერთს ამოიოხებდა ხოლმე და კაბის კალთას ჩაიჩრდებოდა, კეცავდა და შლიდა.

დარჩა დანგრევას მყოფი სახლი მთებს შუა, ლამის კი არა და წამდვილად ტყები და როგორ მინდა, ბებიაჩემი თუ არა, ვინმე, ვინმე ჩვენებური ხეხავდეს იქ ქვაბებს.

მეგობრები, ამ საერთო უსუსურობაში მგონია, რომ 8 აგვისტოს ამაზე უკეთესს ვერაფერს გავაკეთებთ - პირველკლასელი საბა ილურიძე ახლა წევს თურქეთის სავადმყოფოში და ოპერაციის გასაკეთებელი ფულის არქონის გამო კლინიკა უშვებს გარეთ.

52 000 ლობარი აქვთ შესაგროვებელი.

თუნდაც თითო ლარით დავუდგეთ გვერდით ამ ბაგშვას. საკუთარი სახლიდან რუსების მიერ გამოგდებულს, სიცოცხლისთვის რომ იპრდვის და კლინიკაც გარეთ უპირებს გამოგდებას.

მიმდები: ვიტალი ილურიძე პ. 06001003577

თიბისი ბანკი: GE95TB7924245061100008

საქართველოს ბანკი: GE06BG0000000533389540

ლიბერთი ბანკი: GE50LB0711121327201000

ქა ტევილს არ ჰქმს თავი და პრლო

2008 წლის 8 აგვისტოს შემდეგ ჩვენთვის ახალი წელ-თაღრიცხვა დაიწყო, რადგან მომდევნო დღეების აღმ-ნიშვნელი რიცხვები სისხლითა და ცრემლით იწერება დღემდე!!! არ არსებობს ოჯახი, ვისაც ეს უბედურება არ შეეხს... ჩემი შვილიც იყო იმ ომში, ლევანი - კონ-ტრაქტით მსახურობდა ჯარში და იმ ავბედით დღეს ერედვთან იდგა მისი ბატალიონი... დარეკა, - ომი დაიწყო!... დაიწყო რეზერვისტების წაყანაც... ოთხი ბიჭი მყავს. აქ დარჩენილმა ძმებმაც ჩაალაგეს ზურგ-ჩანთაში საჭირო ნივთები და ლევანს დაურეკეს, მო-ვდივართო! - აზრი არა აქს, უკან ვიხევთ, იქნებ მანდ უფრო გახდეთ საშველები! - ყვიროდა გამწარებული... ეს იყო ბოლო ზარი... კვირა ისე გავიდა, არ ვიცოდით მისი ადგილსამყოფელი... მამაჩემიც დაიკარგა, გვითხ-რეს, ტირდნისამდე გამოვიდა და მერე აღარ ვიცით, რა იქნაო... ის კი უკან დაბრუნებულა, დაიჭირეს ოსმა „ბოევიკებმა“ და იზოლატორში ამოაყოფინეს თავი...

სამაჩაბლოდან დაწიოკებული ხალხი გამორბოდა - ზოგი ოჯახით, ზოგი ცალ-ცალკე... უამრავი ადამი-ანი მოაწყდა ჩვენს საცხოვრებელს. ყველას თავისმა ნათესავმა მოაკითხა და ოთახებში რომ ვერ დავტიერ ხალხი, დერეფანში და ეზოში ისხდნენ... ოჯახის წევ-რებს თითქოს დაძინების უფლება არ გვქონდა - ჩვენი საწოლები მათ დავუთმეთ და სკამებზე ჩამომსხდარნი თუ წავთვლემდით. ჩემი მეზობელი გოგო თავდაცვა-ში მუშაობდა. დარეკა... - დაბომბვა იწყება, თავშესა-ფარში ჩადითოთ (ჩვენი შენობის სიახლოეს მართლა იყო თავშესაფარი)! ლამაა... წამოცვიდა დაფეხული ხალხი და ზენარმოსხმულები გაცვიდნენ გარეთ. ჩემ-მა მეუღლემ ფეხი არ გამოადგა სახლიდან, დაცარი-ელებულ საწოლზე დაწვა და ჩაილაპარაკა: - სანამ მობრუნდებიან, ცოტას მაინც წავიძინებო!..

საქმე ბევრი გვერნდა, ამ ხალხს პატრონობა სჭირდ-ებოდა. ვება ქვაბში ეხარმავდით სადილ-ვახშამს, ვა-პურებდით, ვანუგეშებდით, ახლობლების დახმარებით მოგვერნდა ტანსაცმელი, თეთრეული, საჭირო ნივთე-ბი... ვუკავშირდებოდით გამგეობას და მათი დახმარე-ბით ნაწილ-ნაწილ შეგვყავდა საბავშვო ბაღებში... დღის გამანავლობაში ხმას ვერ ვიღებდი, ჩემს შვილს არც ვახსენებდი... ყველა ტიროდა, ექებდნენ ოჯახის წევრებს, ნათესავებს... ლამით ბალიშს დავიფარებდი თავზე და ვლმუოდი ჩემი შვილის გამო, მამის გამო... უფალს ვევედრებოდი, მშვიდობით დაბრუნებულიყ-ვნენ... ლევანის ბიჭი ოთხი წლის იყო - რატი... ბავშვი ყველაფერს გრძნობდა, დარდობდა უმამობას და როცა ტელევიზორში ომის კადრებს აჩვენებდნენ, მიდიოდა და თიშვედა. - ისვრიან, მამას მოკლავენ... - აევსებოდა ცისფერი თვალები ცრემლით და ჩაგვეხუტებოდა.

ერთ საღამოს შემოვიდა ოთახში და მითხოა:

- ბებო, ნაყინი მინდა...

- ცუდად ვარ, ბებო, არ შემიძლია მაღაზიაში წასვ-ლა... - გაუკვირდა უარი და უკუსელით გავიდა ოთახი-დან. ცოტა ხანში კარი ისევ გაიღო და მამის ნაყიდ ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი შემოვიდა:

- მე ვარ, ლევანი, ჩამოვედი ჯარიდან, არ გიხარია?

რა დამემართა, არ ვიცი, ახლაც ტირილით ვწერ ამ წერილს... ვეღარ ამოვისუნთქე... მოვიდა, გვერდით მომიწვა, ზურგით მომეხუტა და მეუბნება:

- მითხარი: „გენაცვალოს დედა, მოხვედი, ლევან?..“

რესეზი რქანანტია! ახალგორი საქართველო!

08.08.2008 – არ მიყვარს ეს დღე.

ჩავალაგე ჩემი ლარიბული ზურგჩანთა და ბედის სა-ძებრად დედაქალაქში გავიქეცი...

სულ ოციოდე ლარი მქონდა საფულეში.

ჩემმა საუკეთესო ბავშვობის მეგობრებმა მიმასპინძლეს.

ორი კვირის შემდეგ წერეთლის გამზირზე შემთხ-ვევით შევხვდი მამაჩემს, ჩემს მშობელ მამას...

მოტეხილი მომეჩვენა. პენსიის ასაღებად ჩამოსული-ყო უკვე „ოკუპირებული ახალგორიდან“.

მშვიდად მილიმოდა, გულდაწყვეტილი...

საკუთარი პენსია გამინანილა და წავიდა.

ძალიან მრცხვენოდა...

სხვა გზა არ იყო, დამარეკაზე უარი ვერ ვთქვი.

დღესაც მრცხვენია, ხელი რომ გავუწოდე...

თავდახრილი ვიდექი და ვერაფერს ვამბობდი...

მადლისა და ბედისწერას ვერსად გავექეცი... საოცარი ადამიანები იდგნენ და დგანან დღესაც ჩემ გვერდით...

იმ დღის შემდეგ თავი არ ამინევია, შრომაში გამე-პარა 14 წელიწადი...

აღარც მამაჩემია...

აღარც მის საფლავზე მისვლის უფლება...

რუსეთი იკუპანტია!

ახალგორი საქართველო!

მარი ფერაძე

ვტიროდი... თავზე ხელი დავადე და ძლიერს ამოვ-თვი ეს ერთი წინადადება... ნელა გადმობრუნდა ჩემ-კენ, ცასავით შემომანათა თვალები და მეუბნება:

- დედა, გაგეხარდა, რომ დავბრუნდი?

- ძალიან, ძალიან მიხარია! - დამშალა ნაწილებად ტკივილმა და გაოცებამ, რაც ამ თითისტოლა ბაგშვის საქციელმა გამოიწვია....

- ჰოდა, ახლა ლევანს უნდა წაყინიო!

წავედით მაღაზიაში და ვიყიდეთ ძალიან ბევრი წაყინი...

ახლაც მიკვირს, რამ მოაფიქრა ამის გაკეთება... საოცარად გულანათელი ბიჭია... ხუთი წლის იყო, ჩემი პოეზიის საღამოს რომ დაესწრო. საღამოს, სამსახუ-რიდან დაბრუნებულ მამას ახარა:

- დღეს ბებოს ზემზე ვიყავი...

- რა გააკეთა ბებომ?

- არაფერი... ბებომ იებით მოხატა ცა!.. - ასეთი შეფასება არც მღირსებია!

ერთ ბედნიერ დღეს ჩემი შეილი დაბრუნდა შემლილი თვალებით... დიდი დრო დასჭირდა, სანამ ჩვეულებ-რივად დაიძინებდა და გაიღვიძებდა...

- ყველა სამინელებათა ფილმი რომ შეართოთ, რაც გინახავთ, სამაჩაბლოს ომზე უარესი მაინც არ იქნება... - ამ წინადადების უკან დაგუბებულ ტკივილს, არც მისთვის და არც ჩვენთვის, არა აქს თავი და ბოლო...

მამაჩემი წითელმა ჯვარმა გამოიყვანა... მან თავისი თვალით ნახა ცხინვალის ქუჩებში ქართველი ბიჭების ცხედრები... 82 წლისა იყო... ერთი წელი იცოცხლა საშინელი სევდით და იმ ათდღიანი ტყვეობის უმძიმე-სი განცდით... სულ ჩუმად იყო, აღარ ლაპარაკობდა... სიჩუმით გარდაიცვალა!

უფალმა დაგვიფაროს უარესისაგან! უნდა დავბრუნ-დეთ!

ციცინო ბაბუციძე

სტუდენტობაშვილები...

ცხელი ზაფხული ეროვნულმა გამოცდებმა კიდევ უფრო ცხელი და რთული გახდა საჯარო სკოლების კურსადამთავრებულების, მათი მშობლებისა და ახლობლებისათვის... საქმეს ისიც ართულებს, რომ სტუდენტობამდე კიდევ უნევთ ლოდინი, თუმცა ქულები უკვე გამოცხადდა და იმედებიც იკვეთება... გთავაზობთ ზოგიერთი მათგანის მონაცემებს წეროვნის მესამე საჯარო სკოლიდან...



მერაბ ბელაშვილი

მერაბი სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტობაზე ოცნების... სკოლაში კარგად სწავლობდა და მაღალი შეფასებები დაიმსახურა

ეროვნულ გამოცდებზეც: ქართულ ენასა და ლიტერატურაში 50, ინგლისურში - 65, ისტორიაში - 41, სამოქალაქო განათლებაში კი 43 ქულა მიიღო.

კასო ჭოხაძე



კესოს ოცნება ექიმობაა. სკოლაში წარჩინებით სწავლობდა, აბიტურიენტმაც იმარჯვა და მაღალი ქულები მიიღო: ქართულში 60-დან - 53, ინგლისურში 80-დან - 77, ბიოლოგიაში 70-დან - 61, ქიმიაში 63-დან 54... ახლა გრანტის მოლოდინშია, მერე კი ულამაზესი სტუდენტობა გარანტირებულია.

თევ-ის ახალგორებელი სტუდენტი ვარაჯულ უცივერსიტეტში

იტალიაში, რომის საპიენცას უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე სწავლა თსუ სტუდენტს იმედს აძლევს, რომ ამ ცოდნას ერთ დღეს ქართულ რეალობაში აუცილებლად გამოიყენებს. ეს მოლოდინი კი, უფრო მეტად მას შემდეგ გაუმყარდა, რაც საქართველომ ევროკავშირის კანდიდატი წევრის სტატუსთან დაკავშირებით განაცხადი გააკეთა. უნივერსიტეტში მარიამ თინიკაშვილი ევროკავშირის სამართლებრივი აქტებისა და წევრი სახელმწიფოების მიერ მათი გამოყენების პრაქტიკას შეისწავლის.

მარიამი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტია. მარიამმა თსუ-ში მიმდინარე „ერაზმუს+“-ის კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაზაფხულის სემესტრში სწავლას იტალიაში, რომის საპიენცას უნივერსიტეტში აგრძელებს. იურიდიული სფეროს მიმართ მისი ინტერესი სათავეს ჯერ კიდევ ბავშვობიდან იღებს. სკოლის პერიოდში სხვადასხვა პროექტში მონაწილეობამ და შრომის ბაზარზე იურიდიული განათლების მქონე პირების პერსპექტივულობამ მისი პროფესიული არჩევანი საბოლოოდ განასაზღვრა. მარიამისთვის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა პირველი გამოცდილება არ არის. ჯერ კიდევ ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის პერიოდში „ერაზმუს+“-ის გაცვლითი პროექტით ერთი სემესტრი იტალიაში, ტურსა უნივერსიტეტში გაატარა.

„ტურსა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ერთ-ერთ სასწავლო დისციპლინად ევროკავშირის სამართლი იყო შემოთავაზებული. ეს ჩემი პროფესიული მიმართულების განსაზღვრისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. მაგისტრატურის საფეხურზე სწავლა სწორედ ევროპეისტიკის მიმართულებით გავაგრძელე, რომელიც ევროკავშირის სამართლას, ეკონომიკასა და პოლიტიკას მოიცავს,“ - ამბობს მარიამი.

რომის საპიენცას უნივერსიტეტში წასვლამდე, მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის პერიოდში, მარიამი USAID-ის „დემოკრატიული მმართველის ინიციატივის“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტში



სტაუტიორ-ანალიტიკოსის პოზიციაზე იყო დასაქმებული. მის მთავარ პასუხისმგებლობას კანონპროექტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლებრივი ანალიტიკა წარმოადგენდა.

„მუშაობის პროცესში აღმოვაჩინე, რომ საქანონმდებლო ინიციატივების დიდი ნაწილი ევროკავშირის მითითებების განხორციელებას ემსახურებოდა, რისი ვალდებულებაც, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს აქვს აღებული. ამ პრაქტიკულმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ევროკავშირის სამართლის სიღრმისული ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ ამ მიმართულებით საქართველოში კადრების ნაკლებობა,“ - ამბობს მარიამი.

სწორედ ევროკავშირის სამართლის სიღრმისულის ცოდნის სურვილმა გადააწყვეტინა თსუ სტუდენტს გაცვლითი პროგრამით იტალიაში, რომის საპეინცას უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. როგორც ამბობს, აღნიშნულ უნივერსიტეტს ევროკავშირის სამართლის სწავლების ხანგრძლივი ისტორია და უდიდესი დასასრული მე-8 გენერაცია

„სანამ აქ ერთი კაცი გაიც საუგროს ქართულად, ხეობა ღაესაჩული არ არის...“

ქსნის ხეობის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნდა ისტორიკოსისა და პოეტის დავით ახლოურის მორიგი სამეცნიერო ნაშრომი „სოფელ ოხირის ისტორიიდან“, რომელსაც გაზითის ფორმატიდან გამომდინარე, შემოკლებით ვძეჭდავთ. ქარჩოხისა და ოხირის ხეობების საინტერესო ისტორიის გარდა, მეცნიერი ქართველებისა და ოსების კეთილმეზობლური თანაცხოვრების მაგალითებს გვახსენებს და ახალგორელებისათვის უახლოეს წარსულში პატივსაცემი ადამიანების შესახებაც მოგვითხოვთ.

ქარჩოხის (ცხმორის) ციხე

ქარჩოხის თემში, ისტორიული ქარჩოხის (ცხმორის) ციხის მიდამოებში, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს მდებარეობს ნასოფლარი ოხირი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ ოსური მოსახლეობა ცხოვრიბდა...

ვახუშტი წერს: „არს ციხე ქარჩოხისა ქსნის პირსა ზედა. უდის სამხვრით კასანი და აღმოსავლით ხევი, ლომისის მთის გამომდინარე“.... ს. მაკალათი უფრო კონკრეტულად გვითითებს ციხის მდებარეობას, „ქარჩოხის ციხე-დარბაზი ქსნის მარცხენა მხარეზეა, იქ, სადაც ქსანს ერთვის ოხირის ხევი...“. პ. ზაქარაიას მინიშნებით, ქარჩოხის ციხეს თავისი სიდიდით და მრავალფეროვნებით, ამ ხეობის ფორტიფიკაციულ ნაგებობებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია. მოსახლეობა მას კიდევ ერთი სახელწოდებით იცნობდა - „ციხეკლდე“. თავდაპირველად აქ აუგიათ ზურგიანი კოშკი, რომლისთვისაც, მოგვიანებით, სამხრეთით მცირე გალავანი მიუშენებიათ, შემდეგ კი ციხის აღმოსავლეთითა და სამხრეთით კიდევ უფრო დიდი გალავანი იქნა აგებული... ზურგიანი კოშკის აშენების თარიღად VI-VII საუკუნეები უნდა მოვიჩნიოთ, შემდეგი ზრდა IX-X საუკუნეებში მომხდარა. ანსამბლის გალავანი ითხო მეტრის სიმაღლეზე შემორჩენილი.

როცა დავით მერვემ განდგომილი შალვა ერისთავის დასჯა გადაწყვიტა, ქსნის ხეობის რამდენიმე ციხე აიღო, თუმცა ქარჩოხის ციხისთვის ვერაფერი დაუკლია. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით: „მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თვისი და თათარი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე ხევსა შალვას საერისთავოსა და ჩამოასასა დვალნი და ხადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიული ქვემონი, და დაწვეს და მოახრეს ყოველი ცხრაზმის ხევი გარდა ციხეთა, და ციხეთა ეპრძოდნენ ქვენიფნევს, ქარჩოხს, ქლოოთს და ისროლს, მაგრამ ვერ აიღეს. და შვიდ წელს გაგრძელდა ომი მათი. ხოლო ციხოვანთა ესეოდენ გაუჭირდათ, რომ ინყეს ჭამად ღვედისა“ (ხარის ან კამეჩის ტყავის თასმებისა-გან დაწნული საბელი - და.).

ბიორგი სააპარე

1625 წელს, მარაბდის ველზე განცდილი მარცხის შემდეგ, ქართველები პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდნენ. ყიზილბაშთა მეთაურმა ისა-ხან ყორჩიბაშმა 12 000 მეომარს ხოსრო-მირზა (შემდგომში როსტომი),



QARCOXIS CIXE

შირვანის ბეგლარბეგი ყაზახ-ხანი, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰ-ბენდე-ხანი უსარდლა და თერგის ხეობაში არშის ციხის ასაღებად გაგზავნა, სადაც ქართველებს ყიზილბაშთა მომხრე ანდუყაფარ ამილახვარი და მისი მეუღლე ყორჩიბაშის ასული ჰყავდათ გამომწყვდეული. სპარსელებს ტყვები გაუთავისუფლებიათ და თბილისისკენ წამოსულან, მაგრამ მტერს ქსნის ხეობაში გიორგი სააკაძე დაუხვდა თავის ქართველებით. სამდღიანი ბრძოლის შემდეგ, ირანის შაჰის რჩეული მხედრობა მთლიანად განადგურდა. ხოსრო-მირზამ მცირე რაზმით მოახერხა ალყის გარღვევა და თბილისში ჩასვლა. ქართველებს მტრის დიდალი იარალი და ტყვები ჩაუგდიათ ხელში.

ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად, 2008 წლის აგვისტოს ომამდე ციხის ტერიტორიაზე სახალხო დღესასწაული - „ქარჩოხობა“ იმართებოდა...

„ცხმი დამიჭრეს ამ ოხერ ხევში“

დიდი მოურავის სახელი მჭიდრო კავშირშია როგორც ციხის, ისე ოხირის ხეობასთან. ხალხური გადმოცემით, ციხე-დარბაზთან ერთ-ერთი ბრძოლისას გიორგი დაუჭრიათ და მისოფის ციხეში უმკურნალიათ.

ასევე სააკაძის სახელს უკავშირდება ტოპონიმ „ოხირის“ წარმოქმნაც - „ცხენი დამიჭრეს ამ ოხერ ხევში“ - უთქვამს მტერზე განრისხებულ მოურავს.

ქსნის ხეობის მოსახლეობა ოხირის ხევს ხშირად ოხერხევის სახელითაც მოიხსენებს, ისევე როგორც პ. ზაქარაია - ქსნის ხეობის სათავეებში, იმ კონცხზე, რომელსაც ქმნის ქარჩოხისა და „ოხერხევის“ ხევები, დგას ციხეო“. ცნობილი ეთნოგრაფი კ. კახიანი ქსნის ხეობის ხევების ჩამონათვალში ახსენებს არა ოხირის, არამედ ოხერის ხევს... ზოგადად ტერმინები: ოხერხევი, ოხერი, ნაოხარი... ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ოხერხევის სახელწოდებით ცნობილია ასევე ნასოფლარი ხევსურეთში.

ჯ. გვასალია განმარტავს ქარჩოხის ციხის კიდევ ერთ სახელწოდებას - ცხმორს და შესაძლებლად მიიჩნია ბაბრძელება მე-10 ბერძნული

„სანამ აქ ერთი კაცი გაიც საუბრებს ქართულად, ხერგა ღამარგელი არ არის...“

მე-9 ბვერდილან

ნევს ტოპონიმი წარმოქმნილიყო „კავკასიური რცხილას მეგრული სახელიდან „ცხიმური“ შემდეგი გზით: „ცხიმური - ცხმური - ცხმორი“ და დასძენს, „რომ რაჭაშიც არის სოფელი სახელწოდებით „ცხმორი“. არის სოფელი სახელწოდებით „ცხმორი“. კარჩინის ციხე-დარბაზის ეკლესიაში განსაკუთრებული ზემით აღინიშნებოდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, მლოცველები მთელი ხეობიდან იკრიბებოდნენ და რელიგიურ რიტუალს გალავანში აღასრულებდნენ. ციხე-დარბაზი შესასვლელი კარი გარედან არ ჰქონდა და სავარაუდოდ, გვირაბიდან შედიოდნენ. კედელზე კი მოძრავი კიბით გადადიოდნენ.

კარჩინის ციხის წარსული სწორედ იმ ტერიტორიის ისტორია, სადაც მდებარეობს ნასოფლარი ოხირი. აქ უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო ქართული მოსახლეობა დამკვიდრებული... ოსების აქ დასახლება კი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა ვივარაუდოთ... ოხირზე ოსები ჩანან როგორც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საკომლო მამულების ნუსხაში, ისე ქართლ-კახეთის 1794-1799 წლების აღნერაში.

ლომისის ხეობის მსგავსად, ოხირის ხეობაც რამდენიმე უბნად იყოფოდა. მცხეთის მუნიციპალიტეტის ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ამირან პავლიაშვილისა და მისი დის უენია თამარაშვილის (მეუღლის გვარია) ინფორმაციით, ოხირის უბნები იყო: გულარიანი, გოლოანი, ძებისანი, ფერსანი... უნდა ითქვას, რომ გოლაშვილები, ძებისაშვილები და ფერსაშვილები 1804 წლის აღნერაშიც გვხდებიან, გულაროვები კი ჭურთის ხეობიდან გადმოსულან.

კპირაცხოვლობა და ათენგენობა ოხირში

ქსნურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია ლეგენდა ოხირის დევზე, რომელიც ხეობის შუა წელზე, ფერსაანთ უბნის პირქუშ კლდეებში ბინადრობდა. დევი ღამით ნადირობდა, ბავშვებს იპარავდა და მათი შემნვარი ხორცით იყვებებოდა. შეწუხებულ სოფელს, უზუცესის რჩევით, მკითხავისთვის მიუმართავს, რომელსაც ურჩევია, გადასულიყვნენ არაგვის ხეობაში და სეთურების კვირაცხოვლის სალოცავიდან, დეკანოზის ლოცვა-კურთხევით წამოედოთ ერთი ქვა, მიეტანათ სოფლის უკან და დაეთქვათ დღეობა. ეს რჩევა არც იქნებოდა გასაკვირო, რადგან საქართველოს მთანეთში დევის წინააღმდეგ მებრძოლებად ადგილობრივი ღვთაები გვევლინებიან.

როცა სოფელს მკითხავის რჩევის აღსრულების შემდეგ სალოცავი ქვა ოხირ-არახევთის ყელზე გადმოუტარებია, მთელი ქვეყანა შავ ღრუბელს დაუფარავს, რასაც ელვა და ჭექა-ქეხილი მოჰყოლია. „საშინელმა თქორმა პატარა შეუმჩნეველი ნაკადულები აადიდა და გადარია, საშინელ დეგმაში ოხირის ხეობის შემანუხებელ კაციჭამია დევსაც დასცემია მეხი და მოუკლავს, დამწვარა და ფერფლად ქცეულა... ოხირელებმა დიდვაკიდან წამოლებული ქვა ფერსაანში სოფლის უკან დაასვენეს და დაარსეს გაზაფხულის ერთ-ერთი დიდი დღეობა - კვირაცხოველი“ (ცრცლად იხ., ქექაძე, 2008: 100-103).

კვირაცხოვლის გარდა ოხირელი ოსები აღნიშნავდნენ „ათენგენბას“ (ათენგენბა), ქრისტიანულ დღესა-

ნაულს, რომელიც III-IV საუკუნეების მიჯნიდან დაწესდა მონამეობრივად აღსრულებული ბერძენი მღვდელმოძღვრის ათენეგე (ათინოგენე) სებასტიელის მოსახლენებლად. იმართებოდა აღდგომიდან 98-ე დღეს. თ. ოჩაურის ცნობით, ათენგენბის დღესასწაული შემორჩენილი იყო მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველოს მთაში, სადაც „ქრისტიანობის პაგანიზების (გახალხურება) შედეგად მთიელთა ათენგენბას სახელწოდების გარდა თითქმის აღარაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ დღესასწაულთან. ეს არის ტიპობრივი ხალხური დღესასწაული, რომელიც იმართება ივნისის II ნახევარში სხვადასხვა დღეს. ათენგენბის დღესასწაულზე ხალხი შესანირავითა და სათანადო რიტუალის შესრულებით ცდილობდა ხატის მფარველობა დაემსახურებინა.“

ლომისელი და ოხირელი ოსები ასევე აღნიშნავდნენ სამღვთოობისა და ლომისობის დღესასწაულს. ლომისობას განსაკუთრებული სამზადისით ხვდებოდნენ. ოსი ქალები წინასწარ ადუღებდნენ ლუდს, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა როგორც ოსებში, ისე ქსნისხეობელ ქართველებში. ლუდით გამასპინძლება ზოგადად დამახასიათებელია ოსების ეთნოლოგიური ყოფისთვის, მას ისევე მიიჩნევდნენ საღვთო შესაწირად, როგორც საკლავს, მაგალითად, ცხვარს ან მსხვილფეხა საქონელს.

**ოხირის ხეობის გოლო მპვიდრი –
ილიკო გულაროვი**

ოხირის ხეობის ბოლო მკვიდრი ილიკო გულაროვი იყო – პატიოსნებით, სიაღალით და ქართველთა ერთგულებით ცნობილი კაცი, რომლის სახლი, ლამაზად მოჩუქურთმებული დედაბოძით, ხელოვნების ნიმუში იყო... ილიკოს მეუღლეს შამონა რქმევია. მრავალშვილიან ოჯახში რამდენიმე ბავშვს მეტყველების პრობლემა ჰქონდა. როგორც ამბობენ, „შამონას მზეთუკან თავი დაუბანია და ნაბანი წყალი გადაუღვრია“. მთის ხალხის ადათით, მზის ჩასვლის შემდეგ თავის დაბანვა და წყლის გადაღვრა არ შეიძლებოდა. ხალხს მიაჩნდა, რომ გულაროვების რძალი მას შემდეგ დაწყევლილი იყო და „ცოდვა“ ბავშვებზე „გადავიდა“.

ოხირის ბოლო მკვიდრი ვლადიკავკაზთან ახლოს, გოზელში დასახლდნენ. ილიკოს ვაჟი - ბორისი, მამის გარდაცვალების შემდეგ ქარჩიხს ესტუმრა და მისი სახელის უკვდავსაყიფად, ნასოფლარ ოხირის სიახლოეს ილიკო გულაროვის სახელობის წყარო გამოიყვანა.

გულარ ლოთიშვილის „ლომისა“

გულაროვების უბნის ზემოთ, დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით მინიდან ამოედინება მინერალური წყალი, რომელიც მოსახლეობისთვის „მუავე წყლის“ სახელით იყო ცნობილი. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ქვემო ლოთიანის დასახლების მკვიდრმა გურამ ლოთიშვილმა „მუავე წყალი“ პლასმასის მიღებით სოფელში გამოიყვანა და სამანქანო გზის სიახლოეს მცირე სანარმო მოაწყო. წყაროს სათავიდან ლოთიანამდე მანძილი 9 კილომეტრია... მინის ნახევარლიტრიან ბოლოებში ჩამოსხმული და დაბეჭდილი მინერალური წყალი ახალგორის მუნიციპალიტეტის



სოფლებში ვრცელდებოდა „ლომისას“ სახელნოდებით. როგორც ბოთლის ეტიკეტი გვაუწყებდა, თავისი შემცველობით იყო ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნაცრიუმიანი. რეკომენდირებული გახლდათ ქრონიკული გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კოლიტის, ენტეროპოლიტის, ქლეცისტიტის, ქლოანგიტის, პანკრეატის დაავადებებისას, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის რემისის ფაზაში, რკინადეფიციტური ანემის დროს.

„ლომისა“ ოკუპაციის დროსაც აგრძელებდა წარმოებას. ბატონი გურამი 2021 წელს, 79 წლის ასაქში გარდაიცვალა. მან თავის ხეობას და საყვარელ საქმეს სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა. გურამის ქალიშვი-

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მწუხარებით იუწყება

გივი ტატუნაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შეიქმნა „ქანონისატრენაჟერი“ სპეციალური ფონდი

არიან ადამიანები, რომელთათვისაც ძალზე მნიშველოვანია საზოგადოებისათვის სიკეთის მოტანა, კეთილი საქმის კეთება, კერძოს ნაცვლად საერთო საწუხარსა და პრობლემაზე ფიქრი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქანდის სასაფლაოზე, სადაც ახალგორის რაიონიდან დევნილი მოსახლეობა იკრძალება, არის გაუქმებული ეკლესია... ეს ყურადღებიდან არ გამორჩინა ან განსვენებულ თამარ /თამუნა/ გიგაურს და მეგობრებთან ერთად გამოიჩინა ინიციატივა, მისი ადგენენისათვის საჭირო ლონისძიებებისათვის შექმნილიყო საინიციატივო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან ეპიტაშვილი, ნონა დემურიშვილი, გიულა ხუციშვილი, გიორგი ბაშარული, დავით ნაროზაშვილი, ეკატერინე ქენქაძე, ნანა გიგაური, მაია თინიკაშვილი, მედეა თეზელაშვილი.

სამუნავროდ, თამუნას არ დასცალდა პროექტის სისრულეში მოყვანა, თუმცა, მის მეგობრებს გადაწყვეტილი აქვთ, ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი განახორციელონ. ამ მიზნით, ისინი თხოვნით მიმართავენ ახალგორელებს, რომ შეენიონ ამ დიდ საქმეს, რათა გაჩნდეს შესაძლებლობა და შაბათობით მიცვალებულთათვის გადახდილი იქნას პანაშვიდი. საბოლოოდ კი, ამ ტაძარში, რომლიც წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა, განახლდეს მსახურება.

შემოწირულობის გაღების მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ქეთევან ეპიტაშვილს.

ლის, ქალბატონ ლალი ლოთიშვილის ინფორმაციით, საწარმო დღეს აღარ მუშაობს: „მამას გარდაცვალების შემდეგ ქარხანა მოლიანად გაჩერებულია. რამდენჯერმე დაუბეჭდავთ ოსებს მცირე რაოდენობით, ისიც, ალბათ, საცდელად. სახელი „ძიმირდონი“ დაურქმევიათ... ბოლო წლებში მამა ავადმყოფობდა, ჩვენ ვთხოვდით, ვეცვნებოდით, წამოსულიყო, მაგრამ გვეუბნებოდა - სანამ აյერთი კაცი მაინც საუბრობს ქართულად, ხეობა დაკარგული არ არისონ“.

როგორც ვხედავთ, ოსებს „გაუგრძელებიათ“ გურამის საქმე და „ლომისაც“ „ძიმირდონით“ შეუცვლიათ... „ძიმირ“ უამურის ოკუპაციის შემდეგდროინდელი სახელნოდებაა. მათი მინიშნებით, ქარჩოხის ხეობის ოხირის წყალი „უამურის წყალია“, რაც, რა თქმა უნდა, ისეთივე შეცდომაა, როგორიც ძველი ქართული ტოპონიმის - უამურის ძიმირად მოხსენიება.

სამწუხაროდ, დღეს, გურამ ლოთიშვილის მშობლიური სოფელი ლოთიანი ნასოფლარ ოხირივითაა ოხრად შთენილი და მიტოვებული.

**დავით ახლოური
ნაშრომი წარმოდგენილია გორის სახელმწიფო სასამართლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე, 30 ივნისი, 2022**

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მამის მერაბის გარდაცვალების გამო.

მერაბ გელაშვილის სერვნეს



აღარ არის ჩვენ შორის მერაბ გელაშვილი და მასზე ფიქრში მხოლოდ ერთი სიტყვა ტრიალებს - კეთილშობილი. ეს, ალბათ, ბუნებრივიცაა, - ის ცხოვრობდა სიკეთის, თანადგომის და თანაგრძნობის შინაგანი კანონებით. მას უყვარდა ყველა და არასდროს აუვლიდა გვერდს მას, ვისაც დახმარება სჭირდებოდა. ამავდროულად, მისი თანადგომა იყო ჩუმი, უხმაურო, ლირსეული.

თანდაყოლილი შინაგანი კულტურის მატარებელი, ღირსებით საგსე ადამიანი იყო მერაბ გელაშვილი. ის იყო მოყვასი - ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

არ არის ადვილი, იცხოვრო ისე, რომ იმ, შეუცნობელ ქეყანაში გადანაცვლებულს, მხოლოდ გულწრფელი ცრემლი და სინაული მიგაცილებდეს... რომ ადამიანებს გული ძალიან დასწყდეთ შენი ამ ქვეყნად აღარ ყოფინის გამო.

მერაბ გელაშვილმა კი ასე იცხოვრა.

ბედისწერისგან ბოძებული ტკივილის მიუხედავად, არასდროს დაუკარგავს ადამიანობა.

ვუთანაგრძნობთ მის ღირსეულ მეუღლეს მანანას, შვილებს - სოსოს და ზუკას, დას ღიას, დისმეტილებს...

მწუხარებით გეთხოვება შენი იკოთი, მერაბი!..

უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, დაივანოს შენმა სულმა იქ, სადაც მართალი განისვენებენ.

თანასოფლელები

ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვისების ცხელი ზაფხული

ახალგორის სერვის ცენტრის თანამდებობამ ხანგრძლივი, ძლიერი წვიმის შემდეგ გულმოდგინედ შესარულეს საგურამოში გზის განხმენის სამუშაოები. ასევე დასრულდა გარეგანათების სამუშაოები ფრეზე-თის, წილკნისა და წეროვნის დევნილთა დასახლებებში, სულ გამოიცვალა 350 ნატურა.

სამწუხაოოდ, ზოგიერთი მოსახლე უდიერად ეპყრობა სახელმწიფო ქინებას, რაც ისევ მათი საჭიროებისათვის არსებობს. ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში მოპარულია საკანალიზაციი ჭის 22 ხუფი, წეროვნის დევნილთა დასახლებაში – 6. ასევე დაზიანებულია ნაგვის ურნები... სერვისცენტრის ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ მოუნიდებს მოსახლეობას, გამოიჩინონ სიფრთხილე და ყურადღება, მათივე კომფორტისთვის.

დასუფთავდა ქანდის სასაფლაოც. სერვისცენტრმა რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილა მოსახლეობა, რომ უახლოეს დღეებში იყო დაგეგმილი ქანდის სასაფლაოს ორგანიზებული დასუფთავება, ბალახის მოთხოვა და გატანა, ასევე სხვადასხვა ნარჩენების გატანა და მოსახლეობას მიმართა თხოვნით, გაესუფთავებინათ სასაფლაოს შიდა სივრცეები, ნარჩენების გატანას კი თვითონ უზრუნველყოფდნენ. ასეც მოხდა. მოსახლეობა კეთილი დარჩა მათი გულიანი დახმარებით და მომსახურებით.

მოსახლეობისთვის გამოწვევად რჩება სასმელი წყლით მომარაგება. ბოლო დროს პრიობლემა შეიქმნა გაზგაყვანილობის მიმდინარე სამუშაოების გამო წყლის მილების დაზიანებით, თუმცა, სასმელი წყლის სარწყავად გამოყენების გამოც ფერხდება მიწოდება. ამასთან დაკავშირებით სერვისცენტრმა ვრცელი განმარტება გამოაქვეყნა საკუთარ ფეისბუქებურდზე:

ზაფხულში სასმელი წყლის მოხმარება იზრდება, რაც ინვენს დეფიციტს და დაბალი წნევის გამო დასახლების ზედა ნანილს (აუტოპანთან), დღის განმავლობაში წყალი ფაქტობრივად ვერ მიერდება.

მოსახლეობის ნანილში გაჩნდა კითხვა: თუ რატომ ჩნდება პრობლემა ზაფხულში, მაშინ როცა ზამთრის სეზონზე წყლის მიწოდება საკმარისია? – ზაფხულში სასმელი წყლის მოხმარება დამატებით ხდება სარწყავი დანიშნულებითაც. დასახლებაში უკვე არსებობს სარწყავი წყლის სისტემა, რომელიც ყველა ოჯახისთვის უნდა



იყოს ხელმისაწვდომი. თუ თქვენთან სარწყავი წყალს რამდენიმე პრობლემა აქვს და ვერ სარგებლობთ, მიმართეთ საქართველოს მელიორაციის სამსახურს.

ხშირად ვხვდებით ფაქტებს, როცა წყლის მოხმარება ხდება არამიზნობრივად, მოშვებული და დატოვებულია მილი ეზოში და წყალი იხარჯება.

როცა ვახსენებთ 13 წელს, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ დასახლების აშენების თავდაპირველი მიზანი იყო დევნილი მოსახლეობისთვის, მაქსიმალურად მცირე დროში, დროებითი საცხოვრებელის შეთავაზება. წყლის სისტემა, რომელიც მაშინ შეიქმნა, არ ითვალისწინებდა დასახლების გაზრდას და მაღალ მოხმარებას. სისტემაში ცვლილებების

შეტანა კი ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ჩვენ ხშირად მოგიწოდებთ არ გამოიყენოთ სასმელი წყალი სარწყავად, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს წყლის მოხმარებას და გრაფიკის აუცილებლობა აღარ იქნება. თუ სარწყავი სისტემა თქვენთან არ მუშაობს დაუკავშირდით მელიორაციის სამსახურს.

წყალი ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, გვესმის რამხელა დისკომფორტს გიქმნით მისი მიწოდების შეზღუდვა, მაგრამ არსებული რესურსებით, მხოლოდ პრობლემაზე ერთად მუშაობით და თქვენი მხარდაჭერით იქნება შესაძლებელი დასახლებაში უკეთესი პირობების შექმნა.